პროგრამის სახელწოდება: ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები და პრომპტინგი

პროგრამის სახე: პროფესიული მომზადება

ეროვნული კვალიფიკაციების ჩარჩოს დონე: 4

პროგრამის ხანგრძლივობა კვირებში: 10

კვირეული სასწავლო საათობრივი დატვირთვა: 12 სთ.

სულ საკონტაქტო საათების რაოდენობა: 120 სთ

მსმენელთა რაოდენობა ჯგუფში: მინიმალური -8 მაქსიმალური -12

პროგრამაზე დაშვების წინაპირობა: სრული ზოგადი განათლება

პროგრამის მიზნები: პროგრამის მიზანია მსმენელებმა მიიღონ ცოდნა ხელოვნური ინტელექტის ძირითადი პრინციპების, ფუნქციებისა და გამოყენების სფეროების შესახებ; გაეცნონ ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტების მოქმედების მექანიზმს და პრომპტინგის ტექნიკას, რომელიც გამოიყენება ეფექტური კომუნიკაციისა და კონტენტის შექმნისთვის; შეძლონ სხვადასხვა ხელოვნური ინტელექტის პლატფორმის პრაქტიკაში გამოყენება ტექსტური, ვიზუალური და ინფორმაციული მასალის შესაქმნელად; განივითარონ ციფრული და შემოქმედებითი უნარები, რაც ხელს შეუწყობს მათ პროფესიულ განვითარებასა და თანამედროვე ტექნოლოგიურ გარემოში ადაპტაციას.

სწავლის შედეგები (რომელიც აღინიშნება ცოდნით ან/და უნარით ან/და კომპეტენციით)

1. ხელოვნური ინტელექტის ტიპების, შესაძლებლობებისა და განვითარების ტენდენციების გაცნობა
2. პრომპტინჟინერიის საფუძვლების გააზრება და ეფექტური პრომპტების შემუშავება
3. ChatGPT-ის ფუნქციები და მისი პრაქტიკული გამოყენება
4. Copilot-ის შესაძლებლობების დემონსტრირება და პრაქტიკაში გამოყენება
5. Gemini-ის შესაძლებლობების გაცნობა და პრაქტიკაში გამოყენება
6. Claude.ai-ის შესაძლებლობების დემონსტრირება და პრაქტიკაში გამოყენება
7. Gamma App-ის გამოყენებით ვიზუალური მასალების შექმნა და პერსონალიზება

პროგრამის მოკლე აღწერა: პროფესიული მომზადების პროგრამა „ხელოვნური ინტელექტის ინსტრუმენტები და პრომპტინგი“ განკუთვნილია პირებისთვის, რომლებიც აკმაყოფილებენ პროგრამაზე დაშვების წინაპირობას და სურთ მოკლე დროში შეიძინონ ხელოვნური ინტელექტის გამოყენების ცოდნა და უნარები.

პროგრამა განხორციელდება სსიპ კოლეჯ „ოპიზარის“ ბაზაზე, სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მეთოდოლოგიით, რაც გულისხმობს თეორიული ცოდნის პრაქტიკულ გამოყენებას რეალურ სამუშაო ამოცანებში.

მეცადინეობებს ჩაატარებენ კვალიფიციური სპეციალისტები, შესაბამისი სამუშაო გამოცდილებითა და კომპეტენციით. სწავლება წარიმართება კოლეჯი „ოპიზარის“ თანამედროვე სტანდარტების შესაბამისად აღჭურვილ კომპიუტერულ აუდიტორიაში (B გარემო).

პროგრამის ხანგრძლივობა შეადგენს 10 კვირას (120 საათს), კვირაში 12 სთ-ის ხანგრძივობით. სწავლების პროცესში გამოყენებული იქნება შემდეგი მეთოდები: ლექცია, ინტერაქციული ლექცია, დემონსტრირება, დისკუსია, პრაქტიკული მეცადინეობა, ინსტუქტაჟი.

შეფასება განხორციელდება როგორც განმავითარებელი, ისე განმსაზღვრელი ფორმით. განმსაზღვრელი შეფასება ჩატარდება გამოკითხვის (წერილობითი) და პრაქტიკული დავალება-პროდუქტის საფუძველზე.

პროგრამის დასრულების შემდეგ კურსდამთავრებული მიიღებს სახელმწიფოს მიერ აღიარებულ პროფესიული განათლების დამადასტურებელ სერტიფიკატს, დანართით, სადაც დაფიქსირებული იქნება პროგრამის ფარგლებში მიღწეული ცოდნა და უნარები.